სსიპ კოლეჯი ფაზისში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე

წევრი: ფრიდონ გოგიაშვილი

(თბილისი, 2023)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ფაზისი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 215101716

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 13 თებერვლის ბრძანების (MES 2 23 0000166801) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სსიპ კოლეჯ "ფაზისის" საგანმანათლებლო პროგრამის "ამწის ოპერირება" რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

ვიზიტი შედგა 2023 წლის 9 მარტს. (ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. No54).

ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წერიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში. შედგა შეხვედრა დაწესებულების ხელმძღვანელთან. ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამასთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო/ ინფრასტუქტურა , საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები(A,B,C გარემო). ასევე შემოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა ბიბლიოთეკარს.

განხორციელდა ვიზიტი პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე, შედგა გასაუბრება აღნიშნულ გარემოზე, მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელ პირებთან, დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.

კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ დაფიქსირებულა

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.3 განმავითარებელი რეკომენდაცია: გადამუშავდეს ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია(იხ. აღწერა)

2.3.1.1. განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ უფრო მეტი ყურადღება მიექციოს თავად კითხვარს, რესპონდენტებისადმი მიდგომას, მათთვის მიცემულ ახსნა-განმარტებებს, მონაცემების ანალიზსა და მათ წარმოდგენას. დაწესებულებამ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის უნდა განსაზღვროს კითხვარის მიზნები/ამოცანები; უნდა ჩამოყალიბდეს როგორი საზომები/სკალები/კითხვები/პასუხები სჭირდება კვლევას; დაიწეროს კითხვარის დებულებები; ჩატარდეს კითხვარის პილოტირება და შედეგად დაიხვეწოს დებულებები. კითხვარის შედეგები უნდა მუშავდებოდეს და მიღებული ინფორმაცია მიიმართოს კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესების განვითარებისათვის.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ამწის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში/Secondary Vocatioal Qualification in Crane Operation
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N 1/02, 10.01.2023
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ფოთი, კონსტიტუციის ქ.54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული სწავლება (მოდულური)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი, კოოპერაციული სწავლების ფორმით; ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ.54
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15 პროფესიული სტუდენტი, ფოთი, კონსტიტუციის ქ.54
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	134
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	164

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	106

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას:**
კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირება“ განხორციელების დაგეგმვისას კოლეჯი დაეყრდნო ფოთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს, ასევე დაწესებულებამ განახორციელა დამსაქმებელთა კვლევა, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ შპს ფოთის საზღვაო ნავსადგურსა და მსგავსი ტიპის კომპანიებში, ერთ-ერთი წამყვანი და საჭირო მიმართულება გახლავთ ამწისა და მსგავსი მანქანების ოპერირება. ფოთში ამ მიმართულებით კვალიფიციური კადრის დეფიციტია. კოლეჯი 2013 წლიდან ახორციელებს მოკლევადიან პროგრამებს ,,ამწის (სხვადასხვა ტიპი კოშკურა, ხიდურა, ჯოჯგინა, პორტალური, საავტომობილო ტიპის შასიზე დამონტაჟებული მობილური ამწეების, მუხლუხა სავალი მოწყობილობის მქონე და სარკინიგზო ამწეების) მემანქანე'' - მიმართულებით, ადგილობრივი ბიზნესის დაკვეთითა და ასევე დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, ასევე კოლეჯში 2019 წლიდან წარმატებით ხორციელდება საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება“, რომელზეც მოთხოვნა ყოველწლიურად მზარდია. კოლეჯი თვლის, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მოსახლეობის დასაქმებაა. აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები წარმატებით დასაქმდებიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის დროს.

ვიზიტის დროს დაისვა კითხვა თუ რატომ გადაწყვიტა კოლეჯმა ინტეგრირებული მიდგომითაც პროგრამის განხორციელება, ვინაიდან დაშვების წინაპირობაა ასაკი 17 წლიდან და პირდაპირ სკოლიდან ვერ შეძლებდნენ აპლიკანტები ჩაბარებას. რაიონში ბევრის 9 კლას დამთავრებულია, რომლებიც უკვე დიდი ხანია გავიდნენ სკოლიდან და მათთვის შეიქმნა შემდგომი განვითარებისათვის ჩიხი და მსგავსი პრობლემით ბევრი მსურველი აკითხავს კოლეჯს. შესაბამისად, კოლეჯმა იზრუნა რომ მსგავსი პრობლლემის მქონე ადამიანებს მიეცეთ განვითარებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირება“ დაშვების წინაპირობაა „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა; ასაკი არანაკლებ 17 წელი; სრული ზოგადი განათლება -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის შემთხვევაში; საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

პროგრამა შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელების ვადაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებას შემუშავებული/დამტკიცებული აქვს პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ძირითადად A და B გარემოს და მატერიალური რესურსების საკმარისობას. ვინაიდან აღნიშნული მეთოდოლოგიის დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი სრულად ის ფაქტორები, რაც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ზღვრული რაოდენობის დასაბუთებისას, მაგალითად ის, რომ ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა(განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლებში ან ორ პარალელურ ჯგუფად უნდა განხორციელდეს სწავლება); კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენთა იმ მაქსიმალური რაოდენობა (პრაქტიკის ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების ლოგიკური რაოდენობრივი შეფარდებით), რაც პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს შეუძლია მიიღოს; პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა პროგრესის შესაბამისად სასწავლო წლების მიხედვით სტუდენტთა აუდიტორიებში/პრაქტიკის ობიექტზე გადანაწილების შესაძლებლობა; საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები); საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ზრდის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის და ა.შ.) შესაძლებლობები და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯები; პრაქტიკის ბაზებთან თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობები და სხვა ვიზიტის დროს გამახვილდა ყურადღება ამ საკითხებზე. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სხვადასხვა დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში შესაძლებელია შეფერხების გარეშე განხორციელდეს სწავლება. შესწავლილ იქნა აუდიტორიების გამტარობა, მასწავლებელთა დატვირთვის სქემები, ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეკითხვები დავუსვით პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებსაც, რომლებმაც დაადასტურებს მზაობა რომ მიიღებდნენ პროგრამის ფარგლებში 30 პროფ. სტუდენტს(15-15 ორ ცვლაში). ასევე დაადასტურეს კადრების საჭიროება და კურსდამთავრებულთა დასაქმების მზაობა.

განმავითარებელი რეკომენდაცია: გადამუშავდეს ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და გათვალისწინებულ იქნას ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოთთქმული და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები რასაც რეალურად დაწესებულება იყენებს დაგეგმვისას, თუმცა ეს არ არის ასახული დოკუმენტში.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;** ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და დადგინდა რომ მათი საშუალებით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5.**საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია , რომლის 5.4 მუხლის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ დირექტორის 2023 წლის 10 იანვრის N01/02 ბრძანებით.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.** პროგრამა გულისხმობს პროფესიული სტუდენტისათვის ისეთი შედეგების გამომუშავებას, როგორიცაა : სატვირთო ოპერაციების: გადაადგილება/განთავსება, აწევა/დაშვება შესრულება; ამწის აღჭურვილობების: ტვირთსატაცი, ტვირთამწევი გამოყენება; ამწის სამუშაოდ მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება, პერიოდული და გეგმიური დათვალიერება; ამწის საექსპლუატაციო მახასიათებლების კონტროლი და ტექნიკური დათვალიერება; ამწის სამუშაო ოპერაციების ზედამხედველობა; ამწის აღჭურვილობების გამოყენება და სხვა პროფესიასთან დაკავშირებული შედეგები. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება „ამწის ოპერირება“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ,,ამწის ოპერირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება / Crane and Related Plants Operation 07112-3 და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს ბრძანება №170/ნ -საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით.

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება“ მოიცავს მოდულებს და სასწავლო გეგმას (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამისთვის). პროგრამით განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, პროგრამის მოცულობა (მოდულური, ინტეგრირებული), სწავლის შედეგები, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება, პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა. **საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისიითა და სტრატეგიული გეგმით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ამწის ოპერირება“(ინტეგრირებული -არაინტეგრირებული);
- პროფ. საგანმ. პროგრამის დამტკიცების აქტით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**
„ამწის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 30 სტუდენტით (15 პროფესიული სტუდენტი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების(კოოპერაციული) მიდგომით განხორციელებისათვის და 15 პროფესიული სტუდენტი -ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებისათვის). დაწესებულებას სწავლების განხორციელებისათვის აქვს A და B სასწავლო გარემო, რომლებიც გათვლილია 15-15 პროფესიულ სტუდენტზე. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებებით, დაფებით, სტუდენტების კომპიუტერებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი) და სხვა; ასევე, რამდენიმე გარემო ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად, მათ შორის სრულად აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც სრულადაა დაცული უსაფრთხოების ზომები, არის რამდენიმე სივრცე სხვადასხვა ტიპის აქტივობების განსახორციელებლად. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებით, საინვენტარო ჟურნალით/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. ამ საგანმანათლებლო სივრცეებს კოლეჯი იყენებს სხვა პროგრამებისთვისაც, წარმოდგენილ იქნა აუდიტორიათა გამტარიანობის სქემები. მათი შესწავლითა და გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეუფერხებლად არის შესაძლებელი საგანმანთლებლო პროცესის წარმართვა.

კონკრეტულად პროგრამისათვის „ამწის ოპერირება“ გამოყოფილია AC გარემო სადაც განთავსებულია პორტალური ამწის სიმულატორი, 15 ადგილი(მაგიდა/სკამი) პროფესიული სტუდენტებისათვის, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები.

კოლეჯს პროგრამის რიგი პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად გაფორმებული აქვს მემორანდუმები ისეთ მსხვილ დამსაქმებელ კომპანიებთან, როგორებიცაა შპს ,,ტრანსფორდი“, შპს „ბი ენდ პი“ და შპს ,,მეტალექს ტრანსი“, რომლებიც მრავალია წელია თანამშრომლობენ კოლეჯთან გრძელვადიანი თუ მომზადება-გადამზადების პროგრამებისა და სასერთიფიკატო კურსების განხორციელების ფარგლებში, როგორც სამშენებლო და საინჟინრო, ასევე ბიზნესისა და მომსახურების მიმართულებით. თითოეულ კომპანიასთან თანამშრომლობა გულისხმობს 15-15 პროფესიული სტუდენტის მიღებას ორ ცვლაში. ანუ სამივე კომპანიის შემთხვევაში 90 პროფესიული სტუდენტი. პრაქტიკის ობიექტზე გადის პროფესიული მოდულებიდან(69 კრ.) სულ 27,3 კრედიტის მოცულობით პრაქტიკული კომპონენტი. განხორციელდა ვიზიტი ერთ-ერთ პრაქტიკის ობიექტზე შპს ,,ტრანსფორდში“ სადაც გავესაუბრეთ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს. მათი პრაქტიკით პროფესიულ სტუდენტებს ობიექტზე შესვლის დროს უტარდებათ პირველადი შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი და შემდეგ ხდება დაშვება სასწავლო პროცესზე. სტუდენტები განაწილდებიან თითო-თითო ამწეზე. მათთან ერთად ადგილზე იმყოფება მოდულის განმახორციელებელი პირიც, რომელიც თავდაპირველად აწოდებს თეორიულ მასალას, ხოლო შემდგომ პრაქტიკულ სწავლებას ახორციელებენ დაწესებულების ამწის ოპერატორები. შპს „ბი ენს პი“ წარმოადგენს „ტრანსფორდის“ შვილობილ კომპანიას, განთავსებულია გვერდით და აქაც იგივე პრაქტიკით განხორციელდება სწავლება.

სამომავლოდ კოლეჯის ტერიტორიაზე დაგეგმილია ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირების პრაქტიკული სახელოსნოს მშენებლობა, რომელიც იქნება ცალკე მდგომი შენობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტების შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 14. მათ შორის 5 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ რიგი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამების ფარგლებშიც. დაწესებულებამ წარმოადგინა დატვირთვის სქემები. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“ და კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია კონკრეტული პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების სახელწოდებები. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ წინარე ხელშეკრულებები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, მრავალწლიანი პროფესიით მუშაობის გამოცდილებით. გავლილი აქვს სხვადასხვა სახის ტრენინგები. აქვს სწავლების გამოცდილება.იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირება“ შემუშავების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროგრამის მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა დაწესებულებაში. მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი დაცულია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული და ბეჭდური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია კატალოგში. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში კომპიუტერში.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულებას რეგულაციით განსაზღვრული აქვს, რომ მოახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის ჩართვას,

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, დაწესებულება ვაუჩერული დაფინანსების სახით მიიღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს **ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ამწის ოპერირება“(ინტეგრირებული -არაინტეგრირებული);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“;
- მოდულის განმახორციელებელ პირებთან წინარე ხელშეკრულებებით;
- მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით;
- პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პრაქტიკის ობიექტის მონახულებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ბიბლიოთეკის დათვალიერებით და ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან მემორანდუმებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.** ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგისა და განვითარების პროცესებს. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და სხვ. ასევე დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგისა და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას. ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა მის მიერ შემუშავებული და შევსებული კითხვარები, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა , პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვები.

განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ უფრო მეტი ყურადღება მიექციოს თავად კითხვარს, რესპონდენტებისადმი მიდგომას, მათთვის მიცემულ ახსნა-განმარტებებს, მონაცემების ანალიზსსა და მათ წარმოდგენას.დაწესებულებამ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის უნდა განსაზღვროს კითხვარის მიზნები/ამოცანები; უნდა ჩამოყალიბდეს როგორი საზომები/სკალები/კითხვები/პასუხები სჭირდება კვლევას; დაიწეროს კითხვარის დებულებები; ჩატარდეს კითხვარის პილოტირება და შედეგად დაიხვეწოს დებულებები. კითხვარის შედეგები უნდა მუშავდებოდეს და მიღებული ინფორმაცია მიიმართოს კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესების განვითარებისათვის.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციებიც ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის შედეგად. შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე მოხდება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად; პროგრამიხ განმახორციელებელ პიერბთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ რიგ მოდულებში საჭიროა ცვლილებების განხორციელება. მაგალითად შეფასების მიმართულებები და შეფასების ინდიკატორები ყოველთვის არ შეესაბამება ერთმანეთს. თუმცა ფიქრობენ რომ ცვლილებების ინიცირებას განახორციელებენ სასწავლო პროცესის განხორციელების შემდეგ, რათა მათი მოსაზრებები იყოს პრაქტიკაზე დამყარებული და განმტკიცებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გასაუბრებით;
- პროფესიულ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმით(ასეა დასათაურებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კითხვარი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტის თვითშეფასების ანკეტა-კითხვარით;
- კითხვარით სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესასწავლად;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**. კერძოდ: დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სასწავლო გეგმა პროგრამის ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულური: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 76

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-12,5 თვე. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 106 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-18 თვე.

ინტეგრირებული: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 134 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-30 თვე. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 164 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-36 თვე.

არაინტეგრირებული პროგრამის გეგმაში 34-ე და 46-ე კვირას წარმოდგენილი იყო 41 საათიანი კვირეული დატვირთვა. ორივე კვირის მომიჯნავე კვირების დატვირთვა არ აღემატებოდა კვირაში 38 საათს. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათ აღნიშნეს, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო და წარმოადგინეს #01/02 ბრძანებაში (10.01.2023) ცვლილების განხორციელების ბრძანება #01/25 (09.03.2023) რომლის თანახმად აღნიშნული ხარვეზი გასწორდა.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის განმარტებით, ტარდება პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; კოლეჯის მიერ შემუშავებულია მექანიზმები, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომლის მიხედვითაც, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ხდება პროფესიული სტუდენტის საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს/ მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ასევე სტუდენტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვები საჭიროებებთან დაკავშირებით. კოლეჯში დგას წინადადებების ყუთი რომელიც პერიოდულად იხსნება და ხდება შესაბამისი რეაგირება სტუდენტების მოთხოვნებზე.

3.**სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას**; მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა - ლექცია დემონსტრირებით, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, ინტერაქტიული შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება; კეთება ინსტრუქტაჟი; საველე პრაქტიკა; სიმულაცია და სხვა. წარმოდგენილი მეთოდები მოდულის განმახორციელებელ პირს შეუძლია შეცვალოს კონკრეტული საკითხის შესაბამისად მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს თანამედროვე **პორტალური ამწის სიმულატორი.**

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;** სასწავლო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო პროცესს გეგმავს ცვლებში, სტუდენტების მოთხოვნაზე დროულად აბრუნებს უკუკავშირს. უზრუნველყოფს დროულად ცნობების გაცემას.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;** დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები ორგანიზაციებთან: შპს ,,ტრანსფორდი", შპს „ბი ენდ პი" და შპს ,,მეტალექს ტრანსი", რომლებიც მრავალია წელია თანამშრომლობენ კოლეჯთან გრძელვადიანი თუ მომზადება-გადამზადების პროგრამებისა და სასერტიფიკატო კურსების განხორციელების ფარგლებში, როგორც სამშენებლო და საინჟინრო, ასევე ბიზნესისა და მომსახურების მიმართულებით. თითოეულ კომპანიასთან თანამშრომლობა გულისხმობს 15-15 პროფესიული სტუდენტის მიღებას ორ ცვლაში სულ 90 პროფესიულ სტუდენტზე.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.** საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება" ხორციელდება როგორც კოლეჯის C გარემოში, ასევე პრაქტიკის ობიექტებზე. კოლეჯის C გარემოში განთავსებულია ამწის სიმულატორი, რომელიც უსაფრთხოა. შესაბამისად აღნიშნული გარემო არ ითვალისწინებს განსაკუთრებული შრომის უსაფრთხოების დაცვის საჭიროებას (ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, რეგულაციებს). პრაქტიკის ობიექტებზე კი სრულადაა დაცული შრომის უსაფრთხოების ნორმები. ყველა ორგანიზაციას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სამსახური და მოქმედებს მკაცრად გაწერილი სტანდარტით. პროფესიულ სტუდენტებს ობიექტზე შესვლის დროს უტარდებათ პირველადი შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი და შემდეგ ხდება დაშვება სასწავლო პროცესზე. უსაფრთხოების ნორმები დაცულია ინტეგრირებული მოდულებისათვის განკუთვნილ ლაბორატორიაშიც, სადაც გამოკრულია უსაფრთხოების წესები და მანიშნებლები. მოდულის განმახორციელებელი პირიც უტარებს სტუდენტებს ინსტრუქტაჟს. შესაბამისად, სწავლების დროს დაცული იქნება ზოგადი შრომის უსაფრთხოების წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ამწის ოპერირება";
- სასწავლო გეგით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ფაქტობრივი გარემოებითა და ინტერვიუირების შედეგებით პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
- ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მემორანდუმებით ორგანიზაციებთან: შპს ,,ტრანსფორდი“, შპს „ბი ენდ პი“ და შპს ,,მეტალექს ტრანსი“.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

დაწესებულებიას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა .პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების მსმენელთა შეფასება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი; დადასტურების მიზანი და შეფასების სისტემის მახასიათებლები; ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება; სტუდენტის ინფორმირება და სხვა.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმი. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქცია, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 20 იანვრის ბრძანება ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. დაწესებულებას შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები დაცული აქვს ინდივიდუალურ საქარალდეებში რომელსაც დართული აქვს უწყისების და მტკიცებულებების აღრიცხვის ფურცელი და საქაღალდეს მითითებული აქვს მტკიცებულებების შენახვის ვადა. დაწესებულებას აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
დაწესებულებაში შემუშავებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ დოკუმენტით ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციებით გაწერილია ყველა პროცესი. პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით, შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმავითარებელი შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთნ გასაუბრებით;
- ბრძანება ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმით და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი (15 პროფესიული სტუდენტი მოდულური მიდგომით განხორციელებისათვის და 15 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული მიდგომით), კოოპერაციული სწავლების ფორმით; ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. No54
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული მიდგომით, კოოპერაციული სწავლების ფორმით; ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. No54

X. თანდართული დოკუმენტაცია

28.03.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: